



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

გიორგი ლუდუმიძე

საქართველოში მზის, ქარისა და ჩამონადენზე მომუშავე
ჰიდროელექტროსადგურებში, ელექტროენერჯის დამაგროვებლების
გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და დანერგვის პერსპექტივა

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „ენერჯეტიკა და ელექტროინჟინერია“

შიფრი: 0713

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: ენერგეტიკის

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი ლუდუმიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საქართველოში მზის, ქარისა და ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში, ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და დანერგვის პერსპექტივა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2024 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: პროფესორი დ. ჯაფარიძე

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2024 წ.

ავტორი: გიორგი ლუდუმიძე

დასახელება: „საქართველოში მზის, ქარისა და ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში, ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და დანერგვის პერსპექტივა“

სადოქტორო პროგრამა: „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის დოქტორი

სხდომა ჩატარდა: _____

ინდივიდუალური პროცნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ელექტროენერჯის დამაგროვებელი სადგურების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებას. დასმული პრობემის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის აქტუალობიდან გამომდინარე, სიღრმისეულად არის შესწავლილი ენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების პრაქტიკა. გაანალიზებულია ენერგეტიკის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. მეცნიერული კვლევების შედეგების მიხედვით დადგენილია ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლები საერთოდ არ არის განხორციელებული. მსოფლიო პრაქტიკის გამოცდინების ღრმად შესწავლის შედეგების მიხედვითა და ქვეყნის ელექტროენერგეტიკული კომპლექსური სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი და მისი ეფექტიანობის ანგარიშის ალგორითმი. გამოკვლეულია მზის, ქარისა და ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერჯის ელექტროსისტემასთან თავსებადობა და ამ პროცესის თანმდევი პრობლემები. ჩატარებული კვლევებით ნაჩვენებია, რომ საქართველოს მზისა და ქარის ენერგეტიკის პოტენციალის სრულად ათვისება მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში ამ პროცესის თანმდევია ამინდსა და დროზე დამოკიდებულებით, ელექტროენერჯის სიხშირის ცვალებადობა და მისი გავლენა ელექტროსისტემის მდგრადობაში, რაც სერიოზულად ამცირებს მზისა და ქარის ენერგეტიკის განვითარების ეფექტიანობას. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ საგრძნობლად იზრდება მოხმარება. ამ სირთულეების გადასაჭრელად, მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურების განვითარების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ამ დარგში ელექტროენერჯის თანამედროვე დამაგროვებელი სისტემების საყოველთაო დანერგვა. მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის დასაბუთების მიზნით, ფორმირებულია ენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის ოპტიმალური მოდელების ერთიანი მეთოდიკა. აღნიშნული მეთოდიკა აპრობირებულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში. ამ ტიპის სადგურებში პოტენციალის სრულად ათვისების პირობებში დამაგროვებლების საყოველთაო დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების შედეგად, დადგენილია, რომ საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დამაგროვებლების დანერგვა ეფექტიანია და დასაბუთებულია დამაგროვებელი სისტემების დანერგვის პერსპექტივები. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ დასმული ამოცანის შეთავაზებული მეთოდიკით შესწავლა-გადაწყვეტა უზრუნველყოფს ქვეტანაში ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას, განახლებადი წყაროების ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობის განვითარებას, სიხშირის დაბალანსებას, მომხმარებლებისათვის მეტი კომფორტის

შექმნას, ამაღლებს ელექტრო მდგრადობას, შექმნის ელექტროენერჯის რეზერვის წყაროს.

სადისერტაციო ნასრომი შედგება IV თავისგან.

I თავში, გაანალიზებულია ელექტროენერჯეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების მსოფლიო პრაქტიკა. ნაჩვენებია ამ მიმართულების საქართველოს ენერჯეტიკაში არსებული პრობლემები. ამ ამოცანის გადაწყვეტის მსოფლიო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით დასაბუთებულია საქართველოში მზის, ქარისა და წლის ჩამოდნებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

II თავში, მოცემულია მზის, ქარისა და წყლის ჩამოდნებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი, შემუშავებულია თითოეული ტიპის ელექტროსადგურისთვის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმი.

III თავში, სიღმისეული კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებულია საქართველოს მზის, ქარისა და წყლის ჩამოდნებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მეთოდოლოგია. ამ მიმართულებით მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე შედარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შერჩეულია საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტიპი.

IV თავში, მოცემულია ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მზის, ქარისა და წყლის ჩამოდნებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დანერგვის აპრობაცია. რისთვისაც მოძიებულია ანგარიშის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია, ეფექტიანობის ანგარიშის ალგორითმისა და კომპიუტერული პროგრამა ექსელის მეშვეობით შეფასებულია თითოეული ტიპის ელექტროსადგურში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა. განსაზღვრულია საქართველოს ელერჯეტიკის განვითარების გეგმის გათვალისწინებული ასაშენებელი ელექტროსადგურების ენერჯეტიკული პოტენციალი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით კოპლექსურად არის შეჯამებული საერთო ეფექტიანობა.

დისერტაციის თემატიკის კვლევის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში რეალიზება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს ელექტროენერჯეტიკასა და ქვეყნის ეკონომიკას.

Abstract

The dissertation is devoted to the evaluation of the effectiveness of the introduction of electricity storage stations. Due to the relevance of solving the problem at the level of modern requirements, the practice of using electricity accumulators in energy has been studied in depth. Energy efficiency assessment methods are analyzed. According to the results of scientific studies, it is established that electricity accumulators should be introduced, considering that electricity accumulators have not been implemented in Georgia's electric power industry at all. Based on the results of the in-depth study of the experience of the world practice and taking into account the complex specifics of the country's electric power, the optimal econometric model for the evaluation of the effectiveness of the introduction of accumulators and the algorithm of its effectiveness report have been developed. The compatibility of electricity produced in solar, wind and run-off power plants with the electrical system and the problems associated with this process are investigated. The conducted studies show that fully utilizing the potential of solar and wind energy of Georgia is connected with a number of difficulties. First of all, this process is accompanied by changes in the frequency of electricity depending on the weather and time and its impact on the stability of the electrical system, which seriously reduces the efficiency of the development of solar and wind energy. In addition to this, the consumption is increasing significantly. In order to solve these difficulties, one of the determining factors for increasing the efficiency of the development of solar, wind and hydroelectric power plants is considered to be the widespread introduction of modern electricity collection systems in this field. In order to substantiate the implementation of electricity storage systems in solar, wind and water-based power plants, a unified methodology of optimal models of the efficiency of the implementation of electricity storage systems in the energy sector has been formed. This method has been tested in solar, wind and hydroelectric power plants. As a result of the evaluation of the technical-economic effectiveness of the universal implementation of accumulators in the conditions of full utilization of the potential in this type of stations, it is determined that the introduction of accumulators in solar, wind and water runoff power stations in Georgia is effective and the prospects of introduction of accumulator systems are substantiated.

Based on the analysis of the results of the research, it is substantiated that the study-solution of the given task with the proposed methodology ensures the balancing of electricity supply and demand in Kvetana, the development of the construction of power plants powered by renewable sources, frequency balancing, creating more comfort for consumers, increasing electrical stability, and creating a source of electricity reserve.

Dissertation thesis consists of chapter IV.

In chapter I, the world practice of using electric energy storage systems in electric power generation is analyzed. The problems in the energy sector of Georgia in this direction are shown. Taking into account the world's best experience of solving this task, the need to introduce electricity storage systems in solar, wind and solar power plants in Georgia is substantiated.

In Chapter II, the optimal econometric model for the evaluation of the effectiveness of the introduction of electricity collection systems in solar, wind and hydroelectric power

plants is given, and the algorithm of the efficiency evaluation report for each type of power plant is developed.

In Chapter III, based on the research in Sigismund, the methodology of electricity collection systems in Georgian solar, wind and hydroelectric power plants is established. Based on the comparative technical-economic analysis based on the world experience in this direction, the type of electricity collectors with the best indicators has been selected.

In Chapter IV, the approbation of the introduction of electricity storage systems in solar, wind and hydropower plants is given. For which the necessary initial information for the report is sought, the effectiveness of the introduction of electricity collection systems in each type of power plant is evaluated through the algorithm of the efficiency report and the computer program Excel. The energy potential of the power plants to be built, provided for in the development plan of the Georgian energy system, is determined, and the overall efficiency is summarized comprehensively, taking into account the technical and economic indicators.

According to the results of the research on the topic of the dissertation, conclusions and recommendations have been formulated, the implementation of which in practice will bring great benefits to the electric power industry of Georgia and the country's economy.

შინაარსი

შესავალი.....	83-13
თავი 1. ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და ამოცანის დასმა	16
თავი 2. ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეკონომეტრიკული მოდელი.....	35
თავი 3. საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დასანერგად ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტიპების შერჩევა.....	41
თავი 4. მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებთან დამაგროვებელი სადგურების დანერგვის ეფექტიანობის შეფასება	46
4.1. საქართველოში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.....	46
4.2. საქართველოში ქარის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.....	63
4.3. საქართველოს წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა.....	79
4.4 საქართველოს მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა.	95
დასკვნები და რეკომენდაციები.....	100
გამოყენებული ლიტერატურა.....	103

ცხრილების ნუსხა

83.

ცხრილი 3.1. ქიმიური ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტექნიკური მაჩვენებლები.....	44
ცხრილი 3.2. ქიმიური ელექტროენერჯის დამაგროვებლების ეკონომიკური მაჩვენებლები.....	44
ცხრილი 4.1 საქართველოში მზის სადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოების პოტენციალი და განლაგების გეოგრაფია.....	48
ცხრილი 4.2. 1 კვტ მზის სადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის თვითღრებულება.....	48
ცხრილი 4.3. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებში მზის ელექტროსადგურების ღირებულება წლების მიხედვით.....	49
ცხრილი 4.4. 1 კვტ მზის ელექტროსადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღრებულება...50	50
ცხრილი 4.5. საქართველოში მზის სადგურების საპროგნოზო პერიოდი და საპროგნოზო სამშენებლო ღირებულება.....	51
ცხრილი 4.6. საქართველოს მზის პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური ღირებულება მზის სადგურის მშენებლობასთან ერთად.....	51
ცხრილი 4.7. მზის ელექტროსადგურში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია.....	53
ცხრილი 4.8. წდმ-ის ცვალებადობის დინამიკა, მზის ელექტროენერჯის სადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	60
ცხრილი 4.9. საქართველოში ქარის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავების პოტენციალი.....	64
ცხრილი 4.10. წლების მიხედვით 1 კვტ ქარის სადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის თვითღირებულება.....	66

ცხრილი 4.11. 1 კვტ-იანი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღირებულება.....	67
ცხრილი 4.12. ქარის სადგურების საპროგნოზო პერიოდი და საპროგნოზო სამშენებლო ღირებულება.....	68
ცხრილი 4.13. საქართველოს ქარის პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური ღირებულება ქარის სადგურის მშენებლობასთან ერთად.....	69
ცხრილი 4.14. ქარის ელექტროსადგურში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია.....	70
ცხრილი 4.15. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, ქარის ელექტროენერჯის სადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	77
ცხრილი 4.16. წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდრო ელექტროსადგურები, ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2024-2027 წლებში.....	81
ცხრილი 4.17. წყლის ხარჯის ანალიზის გათვალისწინებით %-ული სხვაობა გამომუშავებულ ელექტროენერჯიასა და პროგნოზით გათვალისწინებულ ელექტროენერჯიას შორის.....	82
ცხრილი 4.18. წლების მიხედვით 1 კვტ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის თვითღირებულება.....	83
ცხრილი 4.19. 1 კვტ-იანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღირებულება ცხრილი.....	84
ცხრილი 4.20. მოდინებაზე მომუშავე 20 ჰიდროელექტროსადგურის საპროგნოზო პერიოდი და საპროგნოზო სამშენებლო ღირებულება.....	85
ცხრილი 4.21. საქართველოს ჰიდრო პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური ღირებულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად.....	86

ცხრილი 4.22. მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია.....	88
ცხრილი 4.23. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	94
ცხრილი 4.24. დამაგროვებელი ელექტროსადგურების დანერგვით გაზრდილი გამომუშავებული ელექტროენერჯის წილი.....	95
ცხრილი 4.25. საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურების ეფექტიანობის შეფასება და წდშ-ები წლების მიხედვით.....	98

ნახაზების ნუსხა

83.

ნახ. 1.1. ელექტროენერჯის ელექტროენერჯის დამაგროვებელი ბატარიების სადგური (კონტეინერი), გარდამქნელი (ინვენტორი) და ტრანსფორმატორი.....	22
ნახ. 1.2. მზის სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია წლების მიხედვით.....	27
ნახ. 3.1. დამაგროვებელი ტიპების მიხედვით დანერგილი სისტემების სრულქურა.....	45
ნახ. 4.1. 1 კვტ მზის სადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღრებულება.....	50
ნახ. 4.2. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, მზის ელექტროენერჯის სადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	62
ნახ.4.3. საქართველოს ელექტროსისტემის 10 წლიანი განვითარების გეგმის მიხედვით საქართველოს ქარის ელექტროსადგურების მაქსიმალური დასაშვები დასაინსტალირებელი სიდიდეები.....	65
ნახ.4.4. 1 კვტ-იანი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღრებულება.....	67
ნახ.4.5. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, ქარის ელექტროენერჯის სადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	78
ნახ. 4.6. 5 ჰესის ცვალებადობის დინამიკა ცვალებადობის დინამიკა.....	82
ნახ. 4.7. 1 კვტ-იანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღრებულება.....	85
ნახ.4.8. წდშ-ის ცვალებადობის დინამიკა, მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.....	93
ნახ.4.9. სადისერტაციო ნაშრომში მითითებული გენერაციის ობიექტების ჯამური გამომუშავებული საპროგნოზო ელექტროენერჯია დამაგროვებლის დანერგვითა და დამაგროვებლის დანერგვის გარეშე.....	97

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დიდი ტემპით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯის წარმოებაში განახლებადი წყაროების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია ელექტროენერჯეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ფართოდ დანერგვა. ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვთ განვითარებად ქვეყნებს, როგორებიცაა: აშშ, ჩინეთი, გერმანია, იაპონია, ავსტრალიასა და ნორვეგიაში.

საქართველოში, რომელიც ხასიათდება განახლებადი ენერჯის წყაროების დიდი მოცულობების არსებობით, ელექტროენერჯის წარმოების ზრდა ამ წყაროების გამოყენებით დაბალი ტემპით ვითარდება. ამ მხრივ აღსაღნიშნავია, რომ ელექტროენერჯის წარმოების, ისეთი ეფექტიანი ალტერნატიული წყაროებით, როგორც მზე და ქარია პრაქტიკულად არ არის განვითარებული, რაც ქმნის იმის წინა პირობას, რომ საქართველოსთვის ამ პრობლემის გადაწყვეტა პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს, რისთვისაც საქართველოში მაღალი ტემპით უნდა განვითარდეს ჰიდრორესურსების გამოყენებით ელექტროენერჯის წარმოება, მზისა და ქარის ენერჯით ელექტროსადგურების მშენებლობა. წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე, მზისა და ქარის ელექტროსადგურებში იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯის წარმოება ხასიათდება არასტაბილურობით, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრულად ათვისებისთვის აუცილებელია, რომ ამ სფეროში დაინერგოს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემები.

დასმული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან ახალ მიდგომას წარმოადგენს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ამ სფეროში დანერგვა. დამაგროვებელი სისტემების დანერგვით მაღლდება არა მხოლოდ ეფექტიანობა, არამედ საშუალება იქმნება ელექტრულ სისტემებში ძაბვისა და სიხშირის რეგულირება, დატვირთვებისა და მოთხოვნის მომენტალურად დაბალანსება. დღესდღეობით ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა მთავარი წინაპირობაა, რომ მსოფლიომ შეძლოს მის წინაშე მდგარი ელექტროსისტემის მდგრადობის შენარჩუნებისთვის წარმოქმნილი პრობლემის

გადასაჭრელად. საქართველოში, სადაც ელექტროენერჯის წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამინდის ცვალებადობაზე, სეზონურობასა და საბაზისო ელექტროენერჯის წარმოების დაბალი წილის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში და მთლიანად ელექტროსისტემაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა. ამ მიმართულებით წინა პლანზე იწევს მზისა და ქარის ენერჯეტიკის განვითარება, ამ დარგში ელექტროენერჯის დამაგროვებლების საყოველთაოდ დანერგვის უზრუნველყოფა.

ამჟამად მსოფლიოს მეცნიერთა ძალისხმევა მიმართულია ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების სრულყოფილი მეთოდის შემუშავებაზე. ელექტროენერჯის შემნახველი სისტემა არის ელექტროსადგურის ის ტიპი, რომელიც ელექტროენერჯის შესანახად იყენებს ბატარეების ჯგუფს. ბატარეის (აკუმულატორის) მეხსიერება ქსელში ელექტროენერჯის ყველაზე სწრაფი რეაგირების წყაროა და გამოიყენება ქსელის მუშაობის სტაბილურობისთვის. მისი სრული ნომინალური სიმძავრე ძირითადად შექმნილია ერთიდან რამდენიმე საათამდე. დამაგროვებელი სისტემები გამოიყენება მოკლევადიანი პიკური მოხმარების დასაბალანსებლად და დამხმარე მომსახურებისთვის, ოპერატიული რეზერვის, სიხშირის კონტროლის უზრუნველსაყოფად და ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტების შესამცირებლად. მსოფლიო გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ელექტროენერჯის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ელექტორდამაგროვებელი სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მზისა და ქარის სადგურების მშენებლობა. საზოგადოების მხრივ დიდი წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება მაღალი ტემპით წყლის რესურსების ათვისება და მსხვილი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამის გათვალისწინებით წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰესების, მზისა და ქარის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დამაგროვებელი სისტემების დანერგვით შესაძლებელი ხდება ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი მოცულობის შენახვა და მისი საშუალებით ოპერატიული რეზერვის შექმნა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად შემოღებული უნდა იყოს ეფექტიანობის შესაფასებლად ისეთი კრიტერიუმი, რომელიც გათვალისწინებული იქნება მასზე მოქმედ ყველა ფაქტორი და უზრუნველყოფილი იქნება ისეთი ელექტროენერჯის დამაგროვებელის ტიპის შერჩევა, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები სრულად დააკმაყოფილებს გამოყენების ეფექტიანობას. ობიექტურად შეფასდეს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვისასთვის გაწეული ხარჯები და მისგან მიღებული ეფექტი. ამ მიზნით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შერჩეული უნდა იყოს საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ტიპები.

სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტას საქართველოში. ამ შრომაში ყველა პრობლემა შეფასებულია ობიექტურად და მეცნიერული კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია მათი გადაწყვეტის გზები.

თავი 1.

ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და ამოცანის დასმა

სადისერტაციო ნაშრომში, დასმული ამოცანის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის აქტუალურობიდან გამომდინარე, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში განსაკუთრებულად ვითარდება დამაგროვებელი ელექტროენერჯის სისტემების დანერგვას გენერაციის ობიექტებში. ამიტომ, ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა განახლებადი ენერჯის წყაროს გენერაციის ობიექტებში დამაგროვებელი სადგურების მშენებლობას. ამ პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიოში ენერგეტიკის დარგის მეცნიერების მიერ დიდი მოცულობით სამეცნიერო კვლევებია ჩატარებული, თუმცა ამ კვლევებში სიღრმისეულად არ არის შესწავლილი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და ელექტროენერჯის სეზონური თავისებულებების გათვალისწინებით დამაგროვებლების სისტემების განვითარებამ მნიშვნელოვანი ზრდა და ინოვაცია განიცადა ბოლო წლებში, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრაციის, ქსელის სტაბილურობის გაძლიერებისა და ენერჯის მართვის ოპტიმიზაციის საჭიროებით. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ელექტროენერჯის რეზერვის შექმნაში, სისტემისთვის მის მიწოდებასა და ქსელში სიხშირის დაბალანსებაში. დამაგროვებელი სისტემა არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის სტაბილურ მიწოდებას, ამცირებს ელექტროენერჯის იმპორტს პიკური დატვირთვების დროს, ქსელში შეუძლია სიხშირის დაბალანსება, ასევე ავსებს განახლებადი ენერჯის (ქარისა და მზის) ნაკლოვანებებს. მას გააჩნია საკმადო ბევრი დადებითი თვისებები, რომლის შესახებ მიძღვნილია მრავალი ნაშრომი [6,7,8,9,10,16,17,18] და ჩამოყალიბებულია ელექტროენერგეტიკაში მათი გამოყენების მხარეები:

1. ტექნოლოგიური მიღწევები: ენერჯის შენახვის ტექნოლოგიების მიღწევებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შესანახი ელექტროსადგურების

განვითარებაში. ბატარეის შენახვის სისტემები, როგორცაა ლითიუმ-იონური ბატარეები, სულ უფრო ეკონომიური და მასშტაბური ხდება, რაც მათ განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ელექტროენერჯის შენახვით და სადგურების პროექტებისთვის.

2. განახლებადი ენერჯის ინტეგრაცია: დამაგროვებელი ელექტროსადგურის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა განახლებადი ენერჯის წყაროების, როგორცაა ქარი და მზის, ინტეგრაცია ქსელში. ენერჯის დამაგროვებელ სადგურებს შეუძლიათ შეინახონ ჭარბი ენერჯია, რომელიც წარმოიქმნება მაღალი განახლებადი ენერჯის წარმოების პერიოდში და გამოითხოვოს იგი, როდესაც მოთხოვნა მაღალია ან როდესაც განახლებადი წყაროები დაბალია, რაც ხელს უწყობს მიწოდებისა და მოთხოვნის რყევების აღმოფხვრას.
3. ქსელის სტაბილურობა და მდგრადობა: დამაგროვებელი ელექტროსადგურები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქსელის სტაბილურობისა და მდგრადობის გაძლიერებაში. ისინი უზრუნველყოფენ დამხმარე სერვისებს, როგორცაა სიხშირის რეგულირება, ძაბვის მხარდაჭერა და ქსელის დაბალანსება, რაც აუცილებელია ელექტროენერჯის საიმედო და სტაბილური მიწოდების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით იმ სისტემებში, რომლებსაც აქვთ ცვლადი განახლებადი ენერჯის წყაროების მაღალი შეღწევადობა.
4. მოთხოვნაზე რეაგირება და პიკური დატვირთების დაბალანსება: ენერჯის დამაგროვებელი სადგურები საშუალებას იძლევა მოთხოვნაზე რეაგირების მყისიერ მხარდაჭერას, რაც საშუალებას აძლევს გამანაწილებელ კომპანიებს გადაიტანონ ელექტროენერჯის მოხმარება პიკიდან არაპიკის პერიოდზე. დამაგროვებელი სადგურების ელექტროენერჯით შევსება დაბალი მოთხოვნის პერიოდში და ქსელისთვის მიწოდებით პიკის საათებში, მათ შეუძლიათ შეამსუბუქონ დატვირთვა ქსელზე და შეამცირონ ძვირადღირებული ელექტროსადგურების საჭიროება.
5. მიკროქსელები და გადანაწილებული ენერგორესურსები: დამაგროვებელი ელექტროსადგურები სულ უფრო მეტად განლაგებულია მიკროქსელში. ეს სისტემები უზრუნველყოფენ ენერჯის შენახვის ლოკალიზებულ

გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუმჯობესებენ ენერჯის საიმედოობას, ამცირებენ დამოკიდებულებას ცენტრალიზებულ წარმოებაზე და მხარს უჭერენ განაწილებული განახლებადი ენერჯის რესურსების ინტეგრაციას.

6. პოლიტიკის მხარდაჭერა და წახალისება: მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მთავრობის პოლიტიკამ, წახალისებებმა და რეგულაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შესდამაგროვებელი სადგურების განვითარებაში. მხარდამჭერმა პოლიტიკამ, როგორცაა განახლებადი ენერჯის წტარების მაქსიმალური ათვისება და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ქსელში ინტეგრაცია, საგადასახადო შეღავათები და სიმძლავრის ბაზრის მექანიზმები, წახალისა ინვესტიციები დამაგროვებელი სადგურების განვითარებისთვის.
7. მთლიანობაში, დამაგროვებელი ელექტროსადგურების განვითარება წარმოადგენს უფრო მდგრად, საიმედო და ელასტიურ ენერჯეტიკულ სისტემაზე გადასვლის კრიტიკულ კომპონენტს. ტექნოლოგიის უწყვეტი წინსვლა, მხარდამჭერ პოლიტიკასთან და ბაზრის დინამიკასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო დააჩქაროს დამაგროვებლების ინფრასტრუქტურის განთავსება მთელ მსოფლიოში.

შრომათა [4,5] ავტორები გვთავაზობენ ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მუშაობის ეფექტიანოს შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებს. კერძოდ, ფინანსური კრიტერიუმების გარდა, შემოთავაზებულია, ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების ფართო სპექტრი: სისტემაში სიხშირის რეგულირება, სისტემაში ყველაზე სწრაფად შესვლა, დატვირთვების დაბალანსება, სარეზერვო სიმძლავრის შექმნა, ელექტროენერჯის განახლებადი წყაროების მხარდაჭერა და მათი ქსელში ინტეგრირება, დატვირთვების მართვა, მდგრადი ენერჯეტიკული და ეკონომიკური ზრდა. აღნიშნული კომპლექსური მეთოდი საშუალებას იძლევა, გათვალისწინებულ იქნას შიდა და გარე ფაქტორების ფართო სპექტრი. ამ სამეცნიერო შრომებში ნაწილობრივ სწორად არის შეფასებული ეფექტიანობის შეფასებისადმი მიდგომები, თუმცა არ არის შემუშავებული და მცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები.

შრომებათა [12,13,14] ავტორების მიერ ჩამოყალიბებულია 2022 წლის იანვარში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების

წახალისების პოლიტიკა, განთვითარების არეალი, მაგრამ არ არის დეტალურად ცნობილი სად რომელი ტიპის დამაგროველი შეირჩა, რა სიმძლავრის გენერაციის ობიექტთან რა სიმძლავრის დამაგროვებელი სადგური არის განთავსებული. არ არის განხილული თუ როგორ ხდება მახასიათებლების განსაზღვრა, როგორ იზრდება/მცირდება ექსლუატაციის ხარჯები. ამ შრომებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების განვითარებას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში:

1. გამოყენებაში შეერთებული შტატები არის გლობალური ლიდერი დამაგროვებელი სადგურების განლაგების კუთხით. ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენებაში დიდი წარმატება აქვთ ისეთ შტატებს, როგორებიცაა: კალიფორნია, ტეხასი და ჰავაიო.
2. ჩინეთი სწრაფად აფართოებს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შესაძლებლობებს, რაც განპირობებულია მთავრობის ინიციატივებით, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წარმოებასა და ქსელის სტაბილურ მუსაობას. ქვეყანამ დიდი მოცულობის ინვესტიციები განახლოვრციელა ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის მიმართულებით.
3. ამ პროცესში გერმანია არის საკვანძო მოთამაშე ევროპაში ელექტროენერჯის დამაგროვებელ სისტემების ბაზარზე. ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გარდამავალ პროცესში ქვეყანამ გაატარა პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა დამაგროვებელი სისტემების შექმნის წახალისებას.
4. იაპონია ინვესტირებას ახორციელებს დამაგროვებელი სადგურების ტექნოლოგიებში ენერგოუსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად და ფუკუშიმას კატასტროფის შემდეგ ატომური ენერჯისგან თავის დაღწევის მხარდასაჭერად. ქვეყანას აქვს ბატარების ტიპის დამაგროვებელი სადგურების პროექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა.
5. ავსტრალია გამოჩნდა, როგორც ლიდერი ბატარების ტიპის დამაგროვებელი სადგურების გამოყენების, განსაკუთრებით მის უხვი განახლებადი ენერჯის რესურსებთან ერთად. ქვეყანამ განახლოვრციელა ბატარების მასშტაბური პროექტები ქსელის სტაბილურობის მხარდასაჭერად,

განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრირებისა და ენერჯის საიმედოობის გაზრდის მიმართულებით.

6. ნორვეგია, რომელიც ცნობილია თავისი ფართო ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრით, იკვლევს შესაძლებლობებს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის.

კვლევის [4] ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ჩამოყალიბების მიზნით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. შექმილია მსხილი სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროენერჯის დამაგროვებლები, გაუმჯობესებულია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, გაფართოებულია გამოყენების არეალი. ყოველწლიურად კლებით ხასიათდება წარმოების ღირებულება და იზრდება ეფექტიანობა.

განვითარებულ ქვეყნებში მიღწეული შედეგებისა და მსოფლიოში ელექტროენერჯის წარმოების სეზონურობისა და მზის პოტენციალის, ქარის სიჩქარისა და წყლის რესურსების გათვალისწინებით, [18] შრომათა ავტორების მიერ შერჩეულია ელექტროენერჯის დამაგროვებლების ხუთი სხვადასხვა ტიპი. ნატრიუმ-გოგირდის ბატარეა, ლითიუმ-იონის ბატარეა, ტყვიის მჟავა, მატრიუმ ლითონის ჯალიდი, თუთია ჰიბრიდული ლათოდი.

ელექტროენერგეტიკის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე [20,21] შრომების ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ეტაპზე ელექტროენერგეტიკის განვითარების კვალდაკვალ მწვავედ დგას ელექტროენერჯის სარეზერვო სიმძლავრის შექმნის პრობლემა. აღნიშნულის გადასაჭრელად პირდაპირ და ცალსახად მიუთითებენ, რომ გამოსავალი არის დამაგროვებელი ელექტროსადგურების ფართო მაშტაბით განვითარება და დანერგვა განახლებადი ენერჯის წყაროებთან, როგორებიცაა ქარის, მზისა და წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურები. კომპანია BLOOMBERG NEW ENERGY FINANCE-ის კვლევებით დადგენილია, რომ 2030 წლისთვის მსოფლიოში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დადგმული სიმძლავრე 125 გვტ-ს მიაღწევს. ფონდ ფორსპიტის მონაცემებით 55%- ხმარდება სიხშირის რეგულირებას, 13%- დატვირთვებს, 11%-მომხმარებლების ანგარიშის შემცირებას, 9%- სარეზერვო სიმძლავრეს, 7%- ელექტროენერჯის განახლებადი

წყაროების მხარდაჭერას, 2%- ცივ გაშვებას, 2%-დატვირთვების მართვას, დანარჩენი სხვა ღონისძიებებს.

[27,28,29,30,31] ცნობილი მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევებში გაანალიზებულია თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია დამაგროვებელი სადგურების დანერგვას. ამ შრომებში აღწერილი და გადაწყვეტილია შემდეგი საკითხები: გაუმჯობესებული ქსელის სტაბილურობა: დამაგროვებელ ელექტროსადგურებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ქსელის სტაბილურობას მიწოდებისა და მყისიერი რეაგირება მოთხოვნის რყევებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობის მიწოდებით. მათ შეუძლიათ შეინახონ ჭარბი ენერჯია დაბალი მოთხოვნილების პერიოდში და მიაწოდონ იგი სისტემას პიკური მოთხოვნის დროს, რითაც შეამცირებენ ქსელის არასტაბილურობასა და გაზრდიან საიმედოობას. განახლებადი ენერჯიის ქსელში ინტეგრაცია: ჰიდროელექტროსადგურებთან საცავის ინტეგრირებით, განახლებადი ენერჯიის წყაროების ეფექტური გამოყენება შეიძლება გაუმჯობესდეს. დამაგროვებელ სადგურებს შეუძლიათ შეინახონ ჭარბი ელექტროენერჯია, რომელიც წარმოიქმნება განახლებადი ენერჯიის მაღალი წარმოების დროს (როგორცაა ქარიანი ან მზიანი პერიოდის განმავლობაში) და მისი ქსელში ინტეგრაცია, როდესაც განახლებადი ენერჯიის გამომუშავება დაბალია, რითაც გაზრდის განახლებადი ენერჯიის საერთო წილს ქსელში. ენერჯიის გაძლიერებული მენეჯმენტი: დამაგროვებლების დანერგვა იძლევა ენერჯიის უფრო ეფექტური მართვის საშუალებას. ოპერატორებს შეუძლიათ ოპტიმიზაცია გაუკეთონ ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებას, მათ შორის წყლის ნაკადს და შენახულ ენერჯიას, რათა დააკმაყოფილონ მერყევი მოთხოვნა და ბაზრის პირობები. პიკური მოთხოვნის დარეგულირება და დატვირთვის დაბალანსება: ელექტროენერჯიის დამაგროვებელ სისტემებს შეუძლიათ პიკური მოთხოვნების დარეგულირება, განახორციელონ დამატებითი ელექტროენერჯიის მიწოდებით მაღალი მოთხოვნის პერიოდში, რაც ამცირებს ძვირადღირებული ელექტროსადგურების საჭიროებას.

შრომის [34,35] ავტორებს ცალკე აქვთ განხილული ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯიისდ დამაგროვებელი სისტემების დანერგვის შესაძლებლობები, რომლითაც შეიძლება გაიზარდოს გამომუშავებული ელექტროენერჯიის წილი ჰიდროელექტროსადგურებთან, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ

შორის, შენახვის სისტემის სიმძლავრეზე და ეფექტურობაზე, ჰიდროელექტროსადგურების მახასიათებლებზე, მოთხოვნის შაბლონებზე და მარეგულირებელ პირობებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, განახლებადი წყაროებიდან გამომდინარე ელექტროენერჯის წილის ზრდა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, პოტენციურად გაორმაგდეს ან თუნდაც გააორმაგოს ჰიდროელექტროსადგურების ეფექტური სიმძლავრე. თუმცა, ზრდის სპეციფიკური მოცულობა შეიძლება შეიცვალოს თითოეული პროექტის კონკრეტულ გარემოებებზე და მიმდებარე ენერგეტიკულ ეკოსისტემაზე. არ არის განხილული რა შედეგს გვაძლევს ზუსტად დამაგროვებლების ასეთი განვითარება გარემოსთან მიმართებით. უფრო აქტიურად უნდა იყოს განხილული CO-ს გამოყოფა, რამდენად საშიშია და რამდენად საფრთხილს მომცველია მოსახლეობისთვის. საყურადღებოა ის ფაქტი, თუ როგორ არის ხანძარმედეგი დამაგროვებელი სადგურები, შეიძლება თუ არ მოხდეს მისი აფეთქება და რა %-ული წილი უჭირავს ამ საფრთხეს.

ბატარიის სისტემები ჯერ კიდევ გადარდამავალ სტადიაშია და შესაძლებელია ბევრი ცვლილება მოხდეს მომდევნო წლების განმავლობაში. დღეს-დღეობით მისი სიცოცხლის უნარიანობა 20 წლამდე არის მიღწეული. [19] ნახაზ 1.1-ზე მოცემულია დამაგროვებელი სადგურებში ინვენტორი და ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომლითაც ხდება დაგროვილი/ შენახული ენერჯის ან პირდაპირ გენერაციის ობიექტიდან დამაგროვებლის გავლით ელექტროენერჯის სისტემისთვის მიწოდება საჭირო დროს.



ნახ.1.1. ელექტროენერჯის ელექტროენერჯის დამაგროვებელი ბატარიების სადგური (კონტეინერი), გარდამქნელი (ინვენტორი) და ტრანსფორმატორი

ზემოთ მოყვანილი ანალიზებიდან გამომდინარე, დღეს ელექტროენერჯის დამაგროვებლის დანერგვა ეფექტიანად წარმართავს განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრირებას, ქსელის საიმედოებასა და მოთხოვნა/მიწოდების დაბალანსებას. ამ მიმართულებით საინტერესო კვლევები აქვთ ჩატარებული საერთაშორისო ორგანიზაცია ირენას ავტორებს [4], მეცნიერული კვლევების საფუძველზე დაადგინილია ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლები, შეიმუშავებულია ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის მართვის მეთოდები, დააზუსტებულია თეორიული და მეთოდური დებულებები, საკვანძო მაჩვენებლების გამოყენებით განსაზღვრეს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ეფექტიანობა და პერსპექტივები. თუმცა მითითებული კვლევის შედეგებით დამაგროვებლების დანერგვა გენერაციის ობიექტებზე ეკონომეტრიკული მოდელირებით ეფექტიანობის შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან მათ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული კვლევის შედეგების გამოყენების არეალი და პრაქტიკული ღირებულებები. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ განხილულ ნაშრომში ყურადღების მიღმაა დატოვებული სისტემური მართვა და ანალიზი. ამავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყურადღების მიღმაა დატოვებული ეფექტიანობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა ფინანსური მდგრადობა. საჭიროა ჯამურ ფინანსურ შედეგებზე მოქმედი საკვანძო ფაქტორების მუდმივი ანალიზი. მუშაობის ეფექტიანობასა და შედეგიანობას განსაზღვრავს არა მარტო ის მაჩვენებლები, რომელიც ნაჩვენებია მიმდინარე მომენტში, არამედ მისი მთლიანი ეკონომიკური სტრუქტურა, პოტენციური შესაძლებლობები და ზარალი. ეს განაპირობებს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, სხვადასხვა მეთოდებისა და ანგარიშის გამოყენების აუცილებლობას. კომპლექსური მიდგომით განსაზღვრული უნდა იყოს მისი მომგებუნარიანობა. შეფასების მეთოდებისა და მუშაობის მაჩვენებლების არასწორმა შერჩევამ შეიძლება არასწორი გადაწყვეტილებისკენ მიგვიყვანოს, შეიძლება არასწორად შეირჩეს სადგურის ტიპი. ჩამოთვლილი პრობლემები განხილულია უცხოელი ავტორების შრომებში. [20,21]

ბატარიის ტიპის დამაგროვებელი სადგურები კლასიფიცირდება მისი ენერჯის სიმკვრივის, ეფექტურობის, ხანგრძლივობისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით. შესაბამისად, ბატარეები შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტროენერჯის

მრავალი მიზნისთვის, მათ შორის გენერირება, გადაცემა, განაწილება და მომხმარებლის მომსახურება [36].

ნაშროში [3] კომპლექსურად არის განხილული დამაგროვებელი ელექტროსადგურის დანერგვის აუცილებლობა და გაუმჯობესების ამოცანა. ნაჩვენების მისი გადაწყვეტისა და შესაძლებლობების გზები.

1. დატვირთვის მართვა ან ენერჯის მოთხოვნის მენეჯმენტი: BESS სისტემები ეხმარება მოთხოვნილების დაბალანსებას პიკისა და არაპიკის პერიოდებში. ენერჯის მოხმარება შეიძლება მერყეობდეს დღის დროის, ამინდისა და სხვა ცვლადების მიხედვით. ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს დაზოგონ ფული ელექტროენერჯის გადასახადებზე ენერჯის შენახვით, სანამ მოთხოვნა დაბალია და გაათავისუფლონ იგი ფასების ზრდისას (პიკური დატვირთვა).
2. ენერჯის დროში ცვლა (არბიტრაჟი): როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელექტროენერჯის ხარჯები იცვლება სხვადასხვა პერიოდში, როგორც აწევით, ასევე კლებით. BESS-ით, ენერჯის დროის ცვლა შესაძლებელია, როდესაც ენერჯია შეძენილია არაპიკის პერიოდებში გონივრული ხარჯებით და გადადის ან მოიხმარება ფასის ზრდისას. შედეგად, სეზონისა და ელექტრომომხმარებლის მიუხედავად, BESS-ებმა შეიძლება დააბალანსონ ენერჯის ხარჯები და შეამცირონ საფრთხეები.
3. სარეზერვო ელექტროენერჯია: BESS-ს შეუძლია უზრუნველყოს სარეზერვო გენერატორები ელექტროენერჯის გათიშვის შემთხვევაში, სანამ სრული სიმძლავრე არ აღდგება. შენახვის გაზრდილი სიმძლავრისა და განახლებადი ენერჯის წყაროებთან ინტეგრაციის გამო, BESS-ს შეუძლია ენერჯის შენახვა დიდი ხნის განმავლობაში. საქმიანი ბატარეის შენახვის სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს როგორც უწყვეტი კვების წყარო (UPS), შეიძლება დაზოგოს დრო და ხარჯები შეფერხების აღმოფხვრის გზით.
4. შავი დაწყების შესაძლებლობა: მისი შავი დაწყების მახასიათებლების გამოყენებით, BESS-მა შეიძლება ჩაანაცვლოს ბენზინი ან ბუნებრივი გაზის ძრავა, რომელიც გამოიყენება ელექტროენერჯის წარმოებაში, ელექტროენერჯის გამომუშავების აღსადგენად გათიშვის დროს. ენერგეტიკული სისტემები შეიძლება განახლდეს სრული გამორთვის

შემდეგ ბატარეის შენახვის გამოყენებით და არა გარე ენერგეტიკული ქსელის გამოყენებით. BESS-ის სწრაფი რეაგირების დრო ხელს უწყობს ქსელების აღდგენას უმცირეს დროში.


5. სიხშირის კონტროლი: დამაგროვებელ სისტემებს შეუძლიათ დაარეგულირონ ქსელის სიხშირე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი მნიშვნელობა მისაღები დიაპაზონშია. თუ წარმოებული სიმძლავრის რაოდენობა განსხვავდება ენერჯის ფაქტობრივი მოთხოვნილებისგან, სიხშირე შეიძლება გადააჭარბოს ან დაეცეს მის ნომინალურ მნიშვნელობას. ასეთმა შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს დროებითი გათიშვა, ელექტროენერჯის გათიშვა ან გამორთვა.
6. განახლებადი ენერჯის ინტეგრაცია: ბატარეის ენერჯის შესანახი სისტემების ცვლადი განახლებადი ენერჯის კომბინაციით, ქსელში, ქსელის გარეთ და ჰიბრიდულ ელექტრომობილებს შეუძლიათ მუდმივად მიიღონ იაფი ენერჯია. ბოლო დროს მწვანე ენერჯია გახდა ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მომგებიანი ნამარხების ალტერნატივა.

ნაშრომებში [36,37] განხილულია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დამაგროვებელი სადგურების არსებული ვითარება, მისი განვითარების საპროგნოზო შესაძლებლობები. ამ კვლევებში არ არის ნაჩვენები დამაგროვებელი სადგურების მოდელის პრაქტიკული დანერგვის გზები. არ არის განხილული ეკონომეტრიკული მოდელები, რომლის გათვალისწინებით დაანგარიშებული იქნება დამაგროვებლის დანერტგვით გამოწვეული შედეგები.

ნაშრომებში [3,4,47,48] განხილულია მზის ელექტროსადგურების განვითარება მსოფლის თითქმის ყველა ქვეყანაში. მზის PV გამომუშავება გაიზარდა რეკორდულად 270 ტვტ სთ-ით (26%) 2022 წელს და მიაღწია თითქმის 1300 ტვ სთ-ს. აჩვენა 2022 წელს ყველა განახლებადი ტექნოლოგიების ყველაზე მზარდია, ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქარს. ზრდის ეს ტემპი ემთხვევა 2023 წლიდან 2030 წლამდე გათვალისწინებულს. წმინდა ნულოვანი ემისიების 2050 წლის სცენარისთვის. არ არის განხილული რამდენ მათგანშია განლაგებული დამაგროვებელი სადგურები, რა შედეგი მოუტანა ქსელის სტაბილურობას, როგორ გაიზარდა გამომუშავებული ელექტროენერჯის წილი და როგორ მონაწილეობდა პიკურ პერიოდში მოთხოვნილი სიმძლავრის დასაბალანსებლად. PV-ის

ეკონომიკური მიმზიდველობის უწყვეტი ზრდა, მიწოდების ჯაჭვის მასიური განვითარება და მზარდი პოლიტიკის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ჩინეთში, შეერთებულ შტატებში, ევროკავშირსა და ინდოეთში, მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო დააჩქაროს სიმძლავრის ზრდა მომდევნო წლებში. ქვეყნები და რეგიონები, რომლებიც მნიშვნელოვან პროგრესს განიცდიან მზის ელექტროსადგურების წინსვლის მიმართულებით, მოიცავს:

1. ჩინეთი აგრძელებს ლიდერობას მზის PV სიმძლავრის დამატებების თვალსაზრისით, 2022 წელს დაემატა 100 გიგავატი, რაც თითქმის 60%-ით მეტია 2021 წელთან შედარებით. განახლებადი ენერჯის მე-14 ხუთწლიანი გეგმა, რომელიც გამოქვეყნდა 2022 წელს, ითვალისწინებს ამბიციურ მიზნებს განლაგებისთვის, რაც უნდა მართოს. შემდგომი შესაძლებლობების ზრდა მომდევნო წლებში. ევროკავშირი მიზნად ისახავს და აჩქარებს მზის PV-ს განლაგებას ენერგეტიკული კრიზისის საპასუხოდ, 2022 წელს დაემატა 38 გიგავატი, რაც 50%-ით მეტია 2021 წელთან შედარებით. მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვანი იქნება REPowerEU გეგმაში და მწვანე გარიგების ინდუსტრიულ გეგმაში შემოთავაზებული ახალი პოლიტიკა და მიზნები. მზის PV ინვესტიციების ძრავები უახლოეს წლებში. შეერთებულმა შტატებმა 2022 წელს შემოღებულ ინფლაციის შემცირების აქტში (IRA) შეიტანა უხვად ახალი დაფინანსება მზის PV-სთვის. ინვესტიციების და წარმოების საგადასახადო კრედიტები მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს PV სიმძლავრეს და მიწოდების ჯაჭვის გაფართოებას. ინდოეთმა დამატებით ექსპლუატაციაში შეიყვანა 18 გიგავატი მზის PV 2022 წელს, თითქმის 40%-ით მეტი, ვიდრე 2021 წელს. ახალი მიზანი, გაზარდოს მზის საფგურების სიმძლავრე ყოველწლიურად 40 გვტ-მდე აუქციონზე და შიდა მიწოდების ჯაჭვის დინამიური განვითარება, სავარაუდოდ, გამოიწვევს ზრდის შემდგომ დაჩქარებას. უახლოეს მომავალში. ბრაზილიამ 2022 წელს დაამატა თითქმის 11 გიგავატი მზის ელექტროსადგურების სიმძლავრე, რამაც გააორმაგა 2021 წლის ზრდა. მოსალოდნელია, რომ განლაგება ამ დონეზე დარჩება საშუალოვადიან პერსპექტივაში, განახლებად ენერჯიაზე მუდმივი მოთხოვნის წყალობით მრეწველობისა და ელექტროენერჯის საცალო ვაჭრობისგან.



ნახ.1.2. მზის სადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია წლების მიხედვით

მზის ენერჯის ათვისება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ქვეყნების ადგილმდებარეობაზე. ბუნებრივია, მზის ენერჯის მაჩვენებელი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით განსხვავებულია, ყველაზე ძლიერი ნათება ეკვატორზეა, მისგან მოშორებულ განედებზე კი შედარებით მცირდება. საერთაშორისო ორგანიზაცია IRENA-ს კვლევების თანახმად მზის სადგურების მშენებლობისა და გამოიმუშავებული კილოვატსაათების თვითღირებულება ყოველწლიურად კლების ტენდენციით ხასიათდება. IRENA-ს 2020 წლის ანგარიშიდან აღებულია 11 წლიანი მონაცემები, რომლის გათვალისწინებით 1 კვტ სადგურის მშენებლობის ღირებულება და გამოიმუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის თვითღირებულება 85%-ით არის შემცირებული.

ნაშრომებში [3,4,47,48] კარგად არის ჩამოყალიბებული, რომ განახლებადი ენერჯის, როგორც მომავალი ენერგეტიკული რესურსის გამოყენების შესაძლებლობები დიდ ყურადღებას იპყრობს მთელ მსოფლიოში. მზის ენერჯის (მათ შორის კონცენტრირებული მზის ენერჯის (CSP) და მზის ფოტოელექტრული ენერჯის (PV) სიმძლავრის ჩათვლით) ელექტროენერჯის გლობალურ წარმოებაში, როგორც განახლებადი ენერჯის წყაროების ერთ-ერთი ფორმა, ზოგადად ჯერ კიდევ დაბალია, 3.6%.

ნაშრომებში [46,47,48] სიღრმისეულად არის შესწავლილი მოდელები, კარგად არის მოყვანილი, რომ მზის ელექტროსადგურის აშენებას 35-40%-ით ნაკლები ინვესტიცია სჭირდება, ვიდრე კაშხალის აშენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოითხოვს დამბების, წყლის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ვრცელ სისტემას. გარდა ამისა, მზის პანელის მწარმოებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა უფრო მოკლე ვადებში ხდება და, როგორც წესი, მას სჭირდება ერთი წელი. მზის ენერჯის სისტემა საჭიროებს მარტივ ტექნიკურ მხარდაჭერას მომხმარებლის ხარჯის თვალსაზრისით.

მზის ელექტროსადგურების განვითარების შესაძლებლობა გააჩნია საქართველოსაც. მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იძლევა შესაძლებლობას არამხოლოდ საკუთარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, არამედ მეზობელი ქვეყნებიც მოამარაგოს ენერჯით. საქართველოს მზის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომელიც სხვადასხვა რეგიონშია განლაგებული. დადგმული სიმძლავრე უტოლდება 520 მგვტ-ს, ხოლო წლიური გენერაცია 694 გვტ.სთ-ს. არ არის განხილული არსად ამ მაჩვენებლების დამატებითი შესწავლა, მათთან დამაგროვებელი სადგურების დანერგვის შესაძლებლობა და მათი მეშვეობით სისტემისთვის საჭირო ელექტროენერჯის მიწოდება საჭირო დროს. როგორც ავღნიშნეთ, დამაგროვებელს გააჩნია ყველაზე სწრაფი რეაგირება და მას სისტემაში სრული დატვირთვის შესვლა შეუძლია 3-5 წმ-ის პერიოდში.

სამეცნიერო სტატიებში [50,51,52] ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ქარის ენერჯეტიკის განვითარების შესაძლებლობასა და პოტენციალზე. ქარის ენერჯეტიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია. ზოგ ქვეყანაში ქარის ენერჯის წილი მთლიან გამომუშავებაში თითქმის 50% შეადგენს. მათი ქსელში ინტეგრირება კი პირდაპირ დაკავშირებულია დამაგროვებელი სადგურების განვითარებასთან, რათა სისტემა გახდეს ბევრად მდგრადი და მუდმივად იყოს სიხშირე დაბალანსებული. არ არის განხილული ყველა რეგიონისა თუ ქვეყნისთვის როგორ უნდა შეირჩეს დამაგროვებელი სადგურის ტიპი, როგორი იქნება მათი სასიცოცხლო ხანგრძლივობა, დადგმული სიმძლავრე, სამშენებლო თუ საექსპლუატაციო ხარჯი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსაც ქარის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მლრდ კვტ.სთ -

მდე არის შეფასებული. ქვეყანაში გამოიყოფა 9 ზონა, სადაც შესაძლებელია ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა, რომლის მშენებლობის შემდეგაც საპროგნოზო დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1450 მგვტ-ს, ხოლო წლიური შესაძლო გენერაცია 4160 გვტ.სთ-ს. არ არის განხილული და აუცილებელია მოხდეს თითოეულ პროექტზე დამაგროვებელი სადგურის მშენებლობასთან ერთად განხილვა, მისი მეშვეობით საპროგნოზო დადგმული და გამომუშავებული ელექტროენერჯის წილის ზრდის %-ული განსაზღვრა, მათი გათვალისწინება სარეზერვო ელექტროენერჯის წყაროდ.

ნაშრომებში [51,52] კარგად არის ასახული თუ როგორ ვითარდება ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა მსოფლიოს მაშტავით დამაგროვებელ სადგურებთან ერთად. გასულ წელს ევროპაში ქარის რეკორდულად დიდი რაოდენობის ელექტროსადგური აშენდა

საერთაშორისო ორგანიზაცია IRENA-ს [4] კვლევების თანახმად ქარის ელექტროსადგურების მშენებლობისა და გამომუშავებული კილოვატსაათების თვითღირებულება ყოველწლიურად კლების ტენდენციით ხასიათდება. ანგარიშში მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით 1 კვტ სადგურის მშენებლობის ღირებულება 40%-მდე არის შემცირებული 2010 წლის შემდეგ, ხოლო 1 კვტ.სთ-ის თვითღირებულება 56%-ით. სრულად არ არის გათვალისწინებული ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები, რაც მთავარია არ არის დადგენილი ქარის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა. აქედან გამომდინარე აუცილებელია ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემის ეფექტიანობის შეფასება განხორციელდეს კომპლექსური მიდგომით. შემუშავებული უნდა იყოს ეფექტიანობის შეფასების ისეთი კრიტერიუმი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მასზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორი და უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერჯის ისეთი დამაგროვებლების შერჩევა, რომლთა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები სრულად დააკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებსა და უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საერთაშორისო ორგანიზაცია IRENA-ს მონაცემებით [4] მთლიანი ხარჯები ფართომასშტაბიანი ჰიდროენერგეტიკული პროექტებისთვის, როგორც წესი, მერყეობს 1000 აშშ დოლარი/კვტ-დან დაახლოებით 3500 აშშ დოლარამდე/კვტ-

მდე. თუმცა, უჩვეულო არ არის ამ დიაპაზონის მიღმა არსებული ხარჯების მქონე პროექტების პოვნა. მაგალითად, ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის დამონტაჟებას არსებულ კაშხალზე, რომელიც აშენდა სხვა მიზნებისთვის (წყალდიდობის კონტროლი, წყალმომარაგება და ა.შ.) შეიძლება დაჯდეს 500 აშშ დოლარი/კვტ. მეორეს მხრივ, დისტანციურ უბნებზე პროექტები, ადექვატური ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გარეშე და არსებული გადამცემი ქსელებისგან შორს, შეიძლება 3 500 აშშ დოლარზე მეტი ღირდეს/კვტ. შეერთებულ შტატებში 2155 პოტენციური ჰიდროენერგეტიკული პროექტის დიდი, ყოვლისმომცველი დანახარჯების ანალიზმა, საერთო სიმძლავრე 43 გიგავატი, გამოავლინა საშუალო კაპიტალური ღირებულება 1 650 აშშ დოლარი/კვტ, პროექტების 90%-ს აქვს 3 350 აშშ დოლარი/კვტ-ზე დაბალი ღირებულება (Hall, et al. , 2003). სხვა კვლევებში (Lako et al., 2003), მსოფლიოში 250 პროექტს, რომელთა საერთო სიმძლავრეა 202 GW, ჰქონდა საშუალო საინვესტიციო ღირებულება მხოლოდ 1000 აშშ დოლარი/კვტ და 90%-ს ჰქონდა 1 700 აშშ დოლარი/კვტ ან ნაკლები ხარჯები (Lako et al. , 2003). ნაშრომში ვერ ვხვდებით თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებთან დამაგროვებლების დანერგვამ, როგორ შეიძლება გამოზარდოს გამომუშავების მოცულობა, როგორ გადანაწილდება მდინარეში განთავსებული წყლის ხარჯები, როგორ უნდა შეირჩეს დამაგროვებლის დადგმული სიმძლავრე.

არარეგულირებადი ჰიდროელექტროსადგურების სიახლოვეს ფართოდ გახდა გამოყენებადი შესანახი ელექტროსადგურები, როგორცაა სატუმბი ჰიდრო ან ბატარეის საწყობების განთავსება. იდეალურად უნდა განთავსდეს ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების მახლობლად აღნიშნული მოწყობილობები. ეს სიახლოვე ამცირებს გადაცემის დანაკარგებს და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროენერჯის დიდ დისტანციებზე ტრანსპორტირებასთან. [54]

ნაშრომებში [56,57] კომპლექსურად არის განხილული დამაგროვებელი ელექტროსადგურის დანერგვის აუცილებლობა და გაუმჯობესების ამოცანა ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებთან. მაგრამ არ არის განხილული გამომუშავებული ელექტროენერჯის წილის ზრდა, როგორ ხდება წლის მოცულობის ათვისება და რამდენი წყალი იკარგება, რომ არ არის

დამაგროვებელი სადგური და მისი დანერგვით რა %-ით გაიზრდება გამომუშავებული ელექტროენერჯის წილი. როგორ მიიღებს მონაწილეობას რეზერვირებასა თუ პიკური დათვირთვების დაბალანსებაში. ნაჩვენების მისი გადაწყვეტის, შესაძლებლობების გზებისა და შედეგების ანალიზი, კერძოდ:

1. ქსელის სტაბილურობის გაძლიერება: დამაგროვებელ სადგურებს შეუძლიათ გააძლიერონ ქსელის სტაბილურობა მიწოდებისა და მოთხოვნის რყევებზე სწრაფი რეაგირების გზით. არარეგულირებადი ჰიდროელექტროსადგურების მახლობლად დამაგროვებელი ობიექტების განთავსება საშუალებას იძლევა წყვეტილი განახლებადი ენერჯის წყაროების, როგორცაა ქარი ან მზის, უკეთ ინტეგრირება ქსელში.
2. დატვირთვის ცენტრები და მოთხოვნის ნიმუშები: გასათვალისწინებელია დატვირთვის ცენტრების მდებარეობა და მოთხოვნის ნიმუშები. საცავის ელექტროსადგურების განთავსება ელექტროენერჯის მაღალი მოთხოვნილების მქონე ტერიტორიებზე უზრუნველყოფს შენახული ენერჯის ეფექტურ გამოყენებას პიკის პერიოდებში, რითაც ამცირებს დაძაბულობას ქსელზე.
3. ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა: საბოლოოდ, უნდა შეფასდეს პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. ფაქტორები, როგორცაა სამშენებლო ხარჯები, საოპერაციო ხარჯები, შემოსავლების გამომუშავება ენერჯო ვაჭრობის ან დამხმარე სერვისების მეშვეობით, და პოტენციური სახელმწიფო წახალისება ან სუბსიდიები, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საცავის ელექტროსადგურების ოპტიმალური განლაგების განსაზღვრისას.
4. მთლიანობაში, არარეგულირებულ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად შესანახი ელექტროსადგურების განთავსება უნდა ხელმძღვანელობდეს ჰოლისტიკური მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და მარეგულირებელ ფაქტორებს ქსელისა და მიმდებარე თემებისთვის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

დამაგროვებელი სადგურების დანერგვას, მათ განვითარებასა და შესაძლებლობების გამოყენებას დიდი ყურადღება ექცევა. ამ მიმართულებით მუშაობას აქვს სისტემური ხასიათი. თეორიული და პრაქტიული მაგალითები,

არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები გაანალიზებულია მრავალ სამეცნიერო შრომასა და თანამედროვე სტატიაში [54]. განსაკუთრებით უნდა არინიშნოს ის ფაქტი, რომ დამაგროვებლების განვითარებისა და მათი დანერგვის შესაძლებლობები განახლებადი ენერჯიების წყაროებთან, როგორცაა მზე, ქარი და ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურები, მსოფლიოს მაშტაბით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა წამყვანი პროფესორ მასწავლებლებისა თუ დარგის სპეციალისტების მიერ. მათი მონაწილეობით განხორციელებულია დიდი მოცულობით კვლევები. ამ ნაშრომში ღრმად არის შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული ოპტიმალურობის სხვადასხვა ასპექტები. ჩატარებულია სამუშაოები საინვესტიციო პროექტების მომზადებისა და განხორციელების, ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის, მისი შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავებისა და აპრობაციის, სწორი დამაგროვებელის სიმძლავრის შერჩევისა და მისი განთავსების შესაფასებლად. მისი ეკონომიკური მომგებიანობის გათვალისწინებით.

საქართველოში აღნიშნულთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. ბოლო წლებში სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ, მის ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებულია აღნიშნული პრობლემები და გადაჭრილია, რომელსაც არ აქვს ერთიანი სამეცნიერო ნაშრომის სახე და არ არის სისტემაში მოყვანილი, მაგრამ პასუხობს ყველა პრობლემურ საკითხზე დასმულ კითხვას. [57,58,59,60].

ამ შრომების ავტორების დამაგროვებლების დანერგვის აქტუალურობიდან გამომდინარე გაკეთებულია მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები. სადისერტაციო ნაშრომში დასმული ამოცანების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადასაწყვეტად საჭიროა საკითხების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა და ისეთი ეკონომეტრიკული მოდელის შემუშავება, რომელშიც სრულად იქნება ასახული საქართველოში დამაგროვებელი ელექტროსადგურების დანერგვის ეფექტიანობაზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორი და ამის საფუძველზე შესაბამისი სქემით შესრულდება ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირება. მიღებული კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობის დასადგენად საქართველოში საპროგნოზო მზის, ქარისა და 20 ჩამონადენზე მომუშავე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის მაგალითზე, შემოთავაზებული მოდელით, თითოეულის სპეციფიკიდან

გამომდინარე, პროგნოზირების თანამედროვე მათემატიკური მეთოდების განხორციელებით ეფექტიანობის შეფასების პროგნოზული აპრობაცია. აპრობაციის შედეგების გათვალისწინებით შემუშავდება დასკვნები და რეკომენდაციები.

ზემოთ მოყვანილი ანალიზებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მშენებლობის გარეშე განახლებადი ენერჯის წყაროების მშენებლობა მრავალ პრობლემებთან არის დაკავშირებული და მათი დანერგვა მოთხოვს კომპლექსურ მიდგომას და ეფექტიანობაზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში გადაჭრილია შემდეგი პრობლემები:

1. ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის მსოფლიო გამოცდილების, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებული იქნება საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ერთიანი მეთოდიკა და დადგინდება დანერგვის პერსპექტივები.
2. პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომით შემუშავებული იქნება ქარის, მზისა და წყლის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი და ანგარიშის ალგორითმი.
3. მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მუშაობის მსოფლიო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით მოძებულ იქნება მითითებული სადგურების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საწყისი ინფორმაცია და ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის ალგორითმის საფუძველზე განისაზღვრება დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობა.
4. მოდელირების განსახორციელებლად წმინდა დისკონტირებული შემოსავლის ფორმულის გათვალისწინებით ანალიზი თითოეული გენერაციის ობიექტისათვის და საწყისი ინფორმაციის საფუძველზე

ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა. ეფექტიანობისა და ფინანსური შეფასების საერთო ინდექსის საშუალოვადიანი პროგნოზული ანალიზი;

5. ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნება პრობლემები და ნაკლოვანებები. მათ აღმოფხვრასთან დაკავშირებულთ ჩამოყალიბებული იქნება კონკრეტული ღონისძიებები და ეფექტიანობის ასამაღლებლად რეკომენდაციები. მთლიანობაში შემუშავდება საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშის მეთოდები.

თავი 2.

ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეკონომეტრიკული მოდელი

ამ თავში კვლევებში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენებით ჩამოყალიბებულია დამაგროვებლის დანერგვის ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდოლოგია.

ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ოპტიმალური დაგეგმვის პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომებში ჩატრებულ კვლევებში ხვდებით ეფექტიანობის შეფასების მრავალფაქტორიან მეთოდებს, მაგრამ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ანალიზისა და არსებული პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახა დასკვნა იმის შესახებ, რომ შრომის ავტორების მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით პრაქტიკულად შეუძლებელია საქართველოს ელექტროსისტემაში დამაგროვებელი სადგურების დანერგვის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება. აღნიშნული გადაწყვეტის მიზნით, სადისერტაციო ნაშრომში, დამაგროვებლების დანერგვიდ საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ვარიანტის შესარჩევად გამოყენებულია ყველაზე უნივერსალური და ყველაზე მეტად გავრცელებული წმინდა დისკონტრიები შემოსავლის მაქსიმუმის კრიტერიუმი. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ხარჯებს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, არამედ ეფექტს მიღებული დამაგროვებელი სადგურების დანერგვის შედეგად. იგი იძლევა საშუალებას ობიექტურად შეფასდეს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემის დანერგვისთვის გაწეული ხარჯები და მისგან მიღებული ეფექტი.

ზოგადად ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი ფორმულით: [59]

$$\sum_{m=1}^t \text{წდშ} = \sum_{m=1}^t (P_{m_i} - 3m_i) \cdot A_{m_i} > 0 \rightarrow \max \quad (2.1)$$

სადაც,

P_m – შედეგები, m ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

Z_m – დანახარჯები, m ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

m – ბიჯის ნომერი, წელიწადი;

α_m – დისკონტირების კოეფიციენტი, რომელიც ტოლია $= \frac{1}{(1+Emi)}$;

E_{mi} – დისკონტის ნორმა;

K_m – ინვესტიციის მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

აღნიშნული წმინდა დისკონტირებული შემოსავლის განზოგადებული ფორმულა ქარის, მზისა და ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებისთვის იქნება განსახვავებული ფორმის.

ქარის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{m=1}^t \text{წდშ ქარის სადგურებისთვის} = \frac{\sum_{m=1}^t (Wi + \Delta W) * T + CK!mi + Zk!m + DR!m - C!m - H!m - BK!m - D!m - J!mt + F}{(1+Em)t} \quad (2.2)$$

სადაც,

C_m – საექსპლუატაციო ხარჯები, ათასი ლარი წელიწადში;

H_m – გადასახადები, სადაც შედის ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, გარემოს დაცვის გადასახადი, ათასი ლარი წელიწადში;

BK_m – სესხის გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

D_m – დივიდენდების მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

t – არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_{im} – ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობა m ბიჯზე (მლნ.კვტ.სთ);

T – ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

$T_{რეზ}$ – სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi} – ქარის ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ნარიცხები, მოცემულია mi ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

K_i – ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაში განხორციელებული საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

CK_m – მოზიდული საკუთარი კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

ZK_m- მოზიდული ნასესხები კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

DR_m- შემოსავლები არაკომერციული საქმიანობიდან, ათასი ლარი წელიწადში;

F- გადამცემი ხაზის მშენებლობის ღირებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

J_{mi}- ინვესტიციების შემოსავლიანობა, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: [12]

$$I_{mi}=(PHK_i-BHK_i)* ND +(SHMH_i-BH+JOK_i)*HD^i \quad (2.3)$$

სადაც:

PHK_i- ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე i წლისთვის (ლარი);

BHK_i-რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე ინვესტირებული კაპიტალის დაბრუნება დაგროვებული რეგულირების დაწყებიდან i წლამდე (ლარი);

ND- ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის ნორმა დადგენილი მარეგულირებელი ორგანოს მიერ გრძელვადიანი რეგულირების i წლისთვის ;

HDⁱ- რეგულირების პერიოდში ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმა;

SHMH_i-დანახარჯების ჯამი, გათვალისწინებული რეგულირების გრძელვადიანი პერიოდისთვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამაში, დაწყებული 1-0 წლიდან დამთავრებული 1-1 წლისთვის;

წმინდა დისკონტირებული შემოსავლის განსაზღვრისთვის აუცილებელია ქარის ელექტროსადგურში განსათავსებლად, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, ყველაზე ეფექტური ელექტროენერჯის დამაგროვებელი ტიპების შერჩევა.

მზის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{m=1}^t \text{წდშ მზის ელექტროსადგურებისთვის} = \frac{\sum_{m=1}^t (Wi*T+CKm+Zkm+DRm-Cm-Hm-BKm-Dm-Jmi)+F}{(1+Em)^t} \quad (2.4)$$

სადაც,

C_m -საექსპლუატაციო ხარჯები, ათასი ლარი წელიწადში;

H_m - გადასახადები, სადაც შედის ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, გარემოს დაცვის გადასახადი, ათასი ლარი წელიწადში;

BK_m - სესხის გადასახადები, ათასი ლარი წელიწადში;

D_m - დივიდენდების მოცულობა, ათასი ლარი წელიწადში;

t - არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_{im} - მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობა m ბიჯზე (მლნ.კვტ.სთ);

T - ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

$T_{რეზ}$ - სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi} - მზის ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ნარიცხები, მოცემულია m_i ბიჯზე, ათასი ლარი წელიწადში;

K_i - მზის ელექტროსადგურის მშენებლობაში განხორციელებული საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

F - გადამცემი ხაზის მშენებლობის დიდებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

CK_m - მოზიდული საკუთარი კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

ZK_m - მოზიდული ნასესხები კაპიტალი, ათასი ლარი წელიწადში;

DR_m - შემოსავლები არაკომერციული საქმიანობიდან, ათასი ლარი წელიწადში;

J_{mi} - ინვესტიციების შემოსავლიანობა, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: [12]

$$I_{mi}=(PHK_i-BHK_i)* ND +(SHMH_i-BH+JOK_i)*HD^i \quad (2.5)$$

სადაც:

PHK_i - ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე i წლისთვის (ლარი);

BHK_i -რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე ინვესტირებული კაპიტალის დაბრუნება დაგროვებული რეგულირების დაწყებიდან i წლამდე (ლარი) ;

ND - ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის ნორმა დადგენილი მარეგულირებელი ორგანოს მიერ გრძელვადიანი რეგულირების i წლისთვის ;

HD_i- რეგულირების პერიოდში ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმა;

SHMH_i-დანახარჯების ჯამი, გათვალისწინებული რეგულირების გრძელვადიანი პერიოდისთვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამაში, დაწყებული 1-0 წლიდან დამთავრებული 1-1 წლისთვის;

ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდრო ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასების შედარებითი ანალიზის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{n=1}^T \text{წდშ ჰიდროსადგურებისთვის}$$

$$\frac{\sum_{n=1}^T (Ni \times Wi(T_{რეზ}-T_{შეს})+AjNj-(NjKj I_{0n}+NSt)+f)}{(1+E_n)^t} > 0 \rightarrow \max \quad (2.6)$$

სადაც:

m-არის ბიჯის ნომერი;

t- არის დამაგროვებელი სისტემის ექსპლუატაციის ვადა, (წლებში);

W_i-ელექტროენერჯის დამაგროვებლებში შენახული ელექტროენერჯის მოცულობა, (კვტ.სთ);

T_{რეზ}- სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

T_{შეს}- გენერაციის ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);

A_{mi}- i დამაგროვებლის საამორტიზაციო ხარჯების სიდიდე, ათასი ლარი/წელიწადში;

K_i ელექტროენერჯის დამაგროვებლის დანერგვისთვის აუცილებელი საინვესტიციო ხარჯები, ათასი ლარი;

I_{ni}- ინვესტიციების შემოსავლიანობის კოეფიციენტი;

S_i- დამაგროვებლის საექსპლუატაციო ხარჯები ლარი/წელიწადში;

E_{ni}- დისკონტირების კოეფიციენტი;

F- გადამცემი ხაზის მშენებლობის ღირებულება, რომლითაც დაკავშირებულია დამაგროვებელი სისტემასთან, ათასი ლარი

J_{mi}- ინვესტიციების შემოსავლიანობა, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: [12]

$$I_{mi}=(PHK_i-BHK_i)* ND +(SHMH_i-BH+JOK_i)*HD^i \quad (2.7)$$

სადაც:

PHK_i- ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე i წლისთვის (ლარი);

BHK_i-რეგულირების გრძელვადიანი პერიოდის დაწყებამდე ინვესტირებული კაპიტალის დაბრუნება დაგროვებული რეგულირების დაწყებიდან i წლამდე (ლარი);

ND- ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის ნორმა დადგენილი მარეგულირებელი ორგანოს მიერ გრძელვადიანი რეგულირების i წლისთვის ;

HDⁱ- რეგულირების პერიოდში ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმა;

SHMH_i-დანახარჯების ჯამი, გათვალისწინებული რეგულირების გრძელვადიანი პერიოდისთვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამაში, დაწყებული 1-0 წლიდან დამთავრებული 1-1 წლისთვის;

თავი 3.

საქართველოში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში დასანერგად ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტიპების შერჩევა

თანამედროვე დროში არსებობს ობიექტური წინამძღვრები იმისა, რომ ფართოდ დაინერგოს ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემები ელექტრულ სადგურებში. ექსპერტების შეფასებით ელექტროენერჯოენერჯის დამაგროვებლების მსოფლიო ბაზრის წლიური მატება 27%-ს შეადგენს. ამ ეტაპზე კვლევები აჩვენებს, რომ „NAVIGANT“-ის კვლევებით 2028 წლისთვის ელექტროსისტემაში ლითიუმ-იონის ტიპის ბატარიების მოცულობა 28 გიგავტ.სთ-ს გადააჭარბებს.

მოსალოდნელია, რომ 20230 წლისთვის ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ჯამური ტევადობა გაიზრდება 345 გიგავტ-მდე და დამაგროვებლების სწრაფი განვითარებისათვის საჭირო იქნება ინვესტიციები, რომელიც აღემატება 265 მილიარდს. მეცნიერთა ნაწილის შეფასებით 2025 წლისათვის ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტექნოლოგიებსა და მათ შენახვაზე შეიძლება იყოს ინვესტირებული 500-700 მილიარდი დოლარი. ექსპერტების შეფასებით ორ უმსხვილეს ბაზარზე ამერიკასა და ჩინეთში 2030 წლისათვის ექსპლუატაციაში იქნება მთელი მსოფლიოს ელექტროენერჯის შემნახველი სისტემების 50%. 2030 წლისათვის ჩინეთი გეგმავს ააშენოს ახალი ელექტროენერჯის შემნახველი სისტემები ჯამური სიმძლავრით 30 გიგავტ. დამაგროვებლების ბაზრის მსხვილ მონაწილეებში ასევე შედიან: ინდოეთი, ავსტრალია, გერმანია, იაპონია და დიდი ბრიტანეთი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აქტიურად იყენებს ელექტროენერჯის წარმოებაში დამაგროვებელ სისტემებს. მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის მიხედვით, ენერჯის შენახვის ტექნოლოგიები გლობალური ეკონომიკის განვითარებისთვის თორმეტ ყველაზე მნიშვნელოვანს შორისაა. Bloomberg New Energy Finance ელოდება, რომ ენერჯის შესანახი მოწყობილობების დადგმული სიმძლავრე 2040 წლისთვის მიაღწევს 1,095 გიგავატს, დაახლოებით 2,850 გიგავტ.სთ სიმძლავრით.

ანალიტიკოსები [53,54] ამტკიცებენ, რომ 2030 წლისთვის აშენებული ელექტროენერჯის დამაგროვებლების 55% უზრუნველყოფენ ელექტრომომხმარებლის გადაადგილებას (მოხმარების გადატანას მწვანე ელექტროსადგურების დროში, როდესაც მოხმარება აჭარბებს მოთხოვნას) და შესაძლებლობას კომბინირებული ელექტროენერჯის ობიექტების, რომლებშიც ალტერნატიული ენერჯეტიკის ტექნოლოგიები (განსაკუთრებით მზისა და ქარის გენერაციის) ინტეგრირებული იქნებიან შემნახველ აკუმულატორულ სადგურებში. პერსპექტივაში ეს იქნება ჩვეულებრივი მოვლენა მთელი მსოფლიოსთვის.

ელექტროენერჯის დამაგროვებელ სისტემებს გააჩნიათ უნდარი ერთდროულად მართონ აწტიური და რეაქტიული სიმძლავრეები, შეასრულონ მაღალი ჰარმონიკების ფილტრის ფუნქცია, დააკონპენსირონ ასიმეტრიული ძაბვები.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გენერაციის ობიექტებზე დამაგროვებელი სისტემების დამერგვა. განსაკუთრებით მომავალში ასაშენებელ მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურებში. ირკვევა, რომ საქართველოში ამ მიმართულებით პრაქტიკულად არ არის ჩატარებული სათანადო კვლევითი სამუშაოები და არცერთ ობიექტზე არ არის დანერგილი ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემები. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე გადაუდებელ ამოცანად ითვლება საქართველოში ახლად მშენებარე ობიექტებზე ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა. თანამედროვე სამყაროში ენერჯია მნიშვნელოვანი ცვლილებების ზღვარზეა. ამ ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი ეტაპია ენერჯის შენახვის სისტემების გამრავლება და ენერჯის შენახვის ღირებულების შემცირება. ამ ტექნოლოგიების დანერგვით, ელექტროსადგურებს შეეძლებათ ელექტრომოწყობილობისა და ქსელების, ასევე მომხმარებლების მუშაობის ოპტიმიზაცია, დატვირთვის გათანაბრება და ენერჯის შენახვა შემდგომი გამოყენებისთვის. გარღვევა ელექტროენერჯის შენახვის სისტემების სფეროში შეიძლება გახდეს განახლებადი ენერჯის წყაროების (RES) გამოყენების გაფართოების სტიმული. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომლებიც ტექნოლოგიურად არ არიან დაკავშირებული ქვეყნის ერთიან ენერჯოსისტემასთან.

მსოფლიოში სხვადასხვა სახის ელექტროენერგეტიკაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე და დაბალი სიმძლავრეების გათვალისწინებით ყველაზე ეფექტური ჩვენის აზრით შეიძლება იყოს ელექტროენერჯის ელექტროქიმიური დამაგროვებელი. მათ განეკუთვნებიან: ტყვია-მჟავის, ნიკელ-კადნიუმის, ნიკელ მეტალო ჰიბრიდული, ნატრიუმ-გოგირდოვანი, ლითიუმ-იონური, გადინებადი რედოქს აკუმულიტორები.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე დგება ამოცანა იმის შესახებ, რომ ელექტროქიმიური ელექტროენერჯის დამაგროვებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეირჩეს საქართველოში გამოყენებისათვის ყველაზე ოპტიმული ვარიანტი, მისაღები ტიპის.

განვითარებულ ქვეყნებში მიღწეული შედეგების, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების სეზონურობისა და პოტენციალის გათვალისწინებით შერჩეულია ელექტროენერჯის დამაგროვებლების სხვადასხვა ტიპი. იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნული ტიპებიდან საუკეთესოს შერჩევა ჩატარებულია მათი შედარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ტექნიკური მაჩვენებლები მოცემულია შეტანილია 3.1 ცხრილში. [53,54], ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები ასახულია 3.2 ცხრილში [59,60,61].

როგორც ცხრილი 3.1-ის ტექნიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზიდან ჩანს ტექნიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია ლითიუმ-იონის ტიპის ელექტროენერჯის დამაგროვებელ აკუმულატორულ ბატარიებს. ამ სახის ბატარიებს ყველაზე მაღალი აქვთ ციკლორობა, ელექტორტევადობა, ხვედრითი სიმძლავრე, სისტემაში შესასვლელად დაბალი დრო, განმუხტვის დაბალი დრო, ყველაზე მაღალი მქკ , მაღალი სამსახურის ვადა. ლითიუმ იონის ტიპის ბატარია ყველა ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. გააჩნია მშენებლობის დაბალი ღირებულება , ყველაზე მცირედია სასიტემო დანაკარგები, გააჩნია მაღალი ეფექტიანობა და დაბალი საოპერაციო ხარჯები.

ცხრილი 3.1. ქიმიური ელექტროენერჯის დამაგროვებლების ტექნიკური მაჩვენებლები


მოწყობილობების ტიპები	ხვედრითი ელექტროტევადობა, ვტ*სთ/კვ	ხვედრითი სიმძლავრე, ვტ/კვ	თვითგანმუხტვის, %	ციკლურობა	მრგ, %	ექსპლუატაციის ვადა
ტყვია-მჟავა	20-30	75-300	5	<1000	<85	15
ნიკელ-კადიუმი	35-50	150-300	20	<2000	<85	20
ნიკელი-ლითონის ჰიბრიდი	50-120	200-1200	30	<1000	<75	10
ნატრიუმ-გოგირდის	150-240	150-230	15	>1000	<75	10
ლითიუმ-იონის	150-250	500-2000	10	>10 000	<90	20

ცხრილი 3.2. ქიმიური ელექტროენერჯის დამაგროვებლების ეკონომიკური მაჩვენებლები

	პარამეტრი	განზომილება	ნიკელ-ნატრიუმ-გოგირდის ბატარეა		ლითიუმ-იონის ბატარეა		ტყვია-მჟავა		ნატრიუმ-ლითონის ჰალიდი		ნიკელ-კადიუმი	
			2020	2030	2020	2030	2020	2030	2020	2030	2020	2030
ექსპლუატაციაში შესასვლელი ხარჯები	შენახვის ბლოკი	\$/კვტ სთ	661	465	165	99	260	220	700	482	265	192
	სასისტემო ბალანსი	\$/კვტ სთ	100	95	38	27	100	95	100	95	150	91
	აღჭურვილობა	\$/კვტ	133	127	63	54	176	167	115	110	173	164
	კონტროლი და კომუნიკაცია	\$/კვტ	7	6	2	1	4	3	5	4	4	3
	სისტემასთან ინტეგრაცია	\$/კვტ სთ	100	95	44	31	62	54	59	53	55	47
	შესყიდვები, ინჟინერია და მშენებლობა	\$/კვტ სთ	64	61	53	43	54	50	53	48	51	46
	პროექტის განვითარება	\$/კვტ სთ	102	97	63	52	84	81	82	77	81	75
	ქსელში ინტეგრაცია	\$/კვტ	48	45	20	16	27	26	26	24	25	23
	მთლიანი ღირებულება (მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა)	\$/კვტ	3626	2674	1541	1081	2194	1854	3710	2674	2202	1730

	მთლიანი ღირებულება (მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა)	\$/კვტ სთ	907	669	385	270	549	464	928	669	551	433
საოპერაციო ხარჯები	ფიქსირებული	\$/კვტ - წელი	11.5	10.3	3.79	3.1	7.61	6.98	7.87	7.11	6.67	6.31
	ცვალებადი	\$/მგვ ტსთ	1.12		0.5125		0.99		1.1		0.87	
	სასისტემო დანაკარგი	\$/კვტ სთ	0.032	0.03	0.005	0.004	0.03	0.024	0.031	0.027	0.03	0.026
აღწერა	ეფექტიანობა	%	75%	76%	86%	88%	78%	79%	79%	81%	79%	82%
	რეაგირების დრო	წმ	11-13		1-4		9-11		10-11		8-9	

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებით ამას ემატება ის ფაქტიც, რომ [53] ლითიუმ-იონის ტიპის ბატარიების წარმოება და ექსპლუატაციაში შეყვანა ყველაზე მაღალი ტემპით მიმდინარეობს. რაც წარმოდგენილია ნახაზ 3.1-ზე.



ნახ. 3.1. ტიპების მიხედვით დანერგილი სისტემების სრუქტურა

ამრიგად საქართველოს მზის, ქარისა და წყლის მოდინება მომუშავე ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დასანერგად ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ყველაზე მიზანშეწონილად ჩათვლილია ლითიუმ-იონური ტიპის ბატარიების მასიურად გამოყენება.

თავი 4.

მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებთან დამაგროვებელი სადგურების დანერგვის ეფექტიანობის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის ამ თავში შესწავლილია ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების სისტემების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია ქვეყანაში მზის, ქარისა და წყლის ჩამოდინებით მომუშავე ელექტროსადგურების ეფექტიანობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი. მოძიებულია ეფექტიანობის შეფასებისთვის საჭირო საწყისი სტატისტიკური ინფორმაცია. ანგარიშის შედეგების მიხედვით შეფასებულია მითითებულ ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების ეფექტიანობა.

4.1. საქართველოში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში გამოყენების ეფექტიანობის შეფასება

საქართველოში, სადაც ელექტროენერჯის წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამინდის ცვალებადობაზე, სეზონურობასა და საბაზისო ელექტროენერჯის წარმოების დაბალი წილის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებში და მთლიანად ელექტროსისტემაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვა. დასმული ამოცანის გადაწყვეტის განსაკუთრებულად აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მზის ენერჯეტიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია. ზოგიერთ ქვეყანაში მზის ენერჯის წილი ელექტროენერჯის მთლიან გამომუშავებაში თითქმის 10-15% შეადგენს. საქართველოსაც გააჩნია მზის ენერჯის გამოყენებით ელექტროენერჯის წარმოების გარკვეული პოტენციალი. ცხრილ 4.1-ში და ნახაზ 4.1-ში მოყვანილია საქართველოში მზის

ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოების პოტენციალი და განლაგების გეოგრაფია.

სტატიაში [59] გაკეთებულია მზის სადგურებში დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობის შეფასება ცალკეულ სადგურებზე. თუმცა დეტალური ანალიზი არ არის გაკეთებული ელექტროენერჯის წარმოებაზე მზის ენერჯის პონენციალის ეფექტიან შეფასების შესახებ. საქართველოში მზის პოტენციალის განვითარებაში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების გამოყენების შეფასება საერთოდ არ არის შესწავლილი. ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოებაში მზის ენერჯის გამოყენების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის მიზნით სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული მზის ენერჯეტიკის განვითარებაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები.

მზის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებლების გამოყენების შეფასების ალგორითმი ნაჩვენებია #2 თავში და ანგარიშის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\sum_{m=1}^t \text{წდშ} = \frac{\sum_{m=1}^t (W_i * T + CKm + Zkm + DRm - Cm - Hm - BKm - Dm - Jmi) + F}{(1 + Em)^t} \quad (4.1)$$

გამოსახულება (4.1) იძლევა საშუალებას, რომ სათანადო საწყისი ინფორმაციის მოძიების შემდგომ, საქართველოში მზის ელექტროსადგურებში დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ეფექტიანობა. მოძიებული ამ მიზნით მოძიებულ იქნა [16,17,49,59] საქართველოში ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დაგეგმილი მზის ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, საჭირო ინვესტიციების მოცულობა, საოპერაციო ხარჯები, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე დადგენილია 1 კვტ.სთ წარმოების ღონისძიებები, საქართველოში მთავრობის მიერ დადგენილი ტარიფი და სხვა აუცილებელი სტატისტიკური მაჩვენებლები ანგარიშის ჩასატარებლად. მაჩვენებლები შეტანილია 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5, 4.6 ცხრილებში.

ცხრილი.4.1. საქართველოში მზის სადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოების პოტენციალი და განლაგების გეოგრაფია

პროექტი	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გენერაცია (გვტ.სთ)
უდაბნო	კახეთი	5	8
ალგეთი	ქვემო ქართლი	50	67
ახალციხე-1	სამცხე-ჯავახეთი	50	65
ახალციხე-2	სამცხე-ჯავახეთი	50	65
გარდაბანი-1	ქვემო ქართლი	50	68
გარდაბანი-2	ქვემო ქართლი	50	68
გლდანი	თბილისი	50	67
კასპი	შიდა ქართლი	50	66
მარნეული	ქვემო ქართლი	50	67
სააკაძე	ქვემო ქართლი	50	67
ქსანი	შიდა ქართლი	50	66
გარეჯი	კახეთი	15	20
	ჯამი	520	694

საერთაშორისო ორგანიზაცია IRENA-ს [4] კვლევების თანახმად მზის სადგურების მშენებლობისა და გამომუშავებული კილოვატსაათების თვითღირებულება ყოველწლიურად კლების ტენდენციით ხასიათდება. IRENA-ს 2020 წლის ანგარიშიდან აღებულია 11 წლიანი მონაცემები, რომლებიც მოცემულია ცხრილ 4.2-ში.

ცხრილი 4.2. 1კვტ მზის სადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის თვითღირებულება

პერიოდი	1 კვტ სადგურის მშენებლობის ღირებულება	1 კვტსთ გამომუშავებული ელექტროენერჯის თვითღირებულება
2010	4731	0.381
2011	4007	0.289
2012	3021	0.217
2013	2647	0.168
2014	2393	0.154
2015	1823	0.117
2016	1657	0.104
2017	1432	0.083
2018	1223	0.07
2019	1009	0.062
2020	883	0.057

ასევე მსოფლიოს წამყვან სხვადასხვა ქვეყნებშიც აქტიურად ვითარდება მზის სადგურების მშენებლობები, რომლის ფასების მოცემულია ცხრილ 4.3-ში.

ცხრილი 4.3. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებში მზის ელექტროსადგურების ღირებულება წლების მიხედვით

ქვეყანა	მზის სადგურების მშენებლობის ღირებულებები წლების მიხედვით										
	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ავსტრალია					2879	2247	1979	1694	1580	1384	1282
ბრაზილია							2151	1583	1242	984	710
ჩინეთი		3230	2524	2142	1680	1419	1299	1240	947	769	691
საფრანგეთი	8632	4193	2922	2966	2913	2288	1876	2163	2022	1697	1348
გერმანია		3536	2284	1949	1710	1282	1369	1305	1274	1127	1136
ინდოეთი								1021	912	827	651
იტალია	5466	4663	2630	2076	2039	1589	1459	1326	1194	1153	1067
იაპონია			5298	4260	3158	2449	2382	2295	2100	2003	1717
მალაიზია					2680	1906	1838	1285	1065	932	881
კორეა								1663	1462	1305	1060
ესპანეთი		4354	3799	3559	3204	1453	1437	1263	1153	1092	849
ინგლისი							1906	1750	1681	1572	1545
არიზონა (აშშ)	7112	6289	5542	4391	3615	3878	3476	3143	2718	2782	2600
კალიფორნია (აშშ)	6565	6338	5027	4987	3710	3610	3739	3545	3234	3132	2970
თურქია	7389	6624	5538	4296	3829	3540	3291	2860	2709	2677	2600

ვინაიდან მოძიებული ცვალებადობის დინამიკის შესახებ არსებობს 11 წლიანი დინამიკა, ექსტრაპოლაციის საშუალებით შესაძლებელი ხდება საშუალოვადიანი პროგნოზირება ექსელის საშუალებივ, რაც გვაძლევს მათემატიკურ მოდელსა და მისი საშუალებით გამოთვლილია მომდევნო 10 წლიანი პროგნოზირება, რომელიც გამოსახულია ცხრილ 4.4-სა და ნახაზ 4.1-ზე.

2010-2020 წლის მონაცემების გათვალისწინებით შეფასდა 1 კვტ მზის სადგურის მშენებლობის ფასის კლების ტენდენცია და 1 კვტ სთ-ის თვითრიღებულება ქვემოთ მოცემული ფორმულა 4.2-ისა და 4.3-ის საშუალებით განისაზღვრა მომდევნო ხუთი წლის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც გამოსახულია ცხრილ 4.3-სა და ნახ.4.1.-ზე.

$$y=0.4e^{-0.19x}; R^2 = 0.9827 \tag{4.2}$$

სადაც,

x არის საპროგნოზო პერიოდი,

R² - პროგნოზის სიზუსტის საზომი.

$$y=0.4e^{-0.19x}; R^2 = 0.9827 \tag{4.3}$$

სადაც,


x არის საპროგნოზო პერიოდი,

R² - პროგნოზის სიზუსტის საზომი

e არის ირაციონალური რიცხვი და უდრის 2.78-ს

ცხრილი 4.4 . 1 კვტ მზის ელექტროსადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღირებულება

საპროგნოზო პერიოდი	1 კვტ სადგურის მშენებლობის საპროგნოზო ღირებულება	1 კვტსთ-ის საპროგნოზო თვითღირებულება
2024	711.4	0.03556
2025	637.4	0.02894
2026	533.5	0.02355
2027	488	0.01916
2028	380.1	0.01559



ნახ. 4.1. 1 კვტ მზის სადგურის მშენებლობისა და გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის საპროგნოზო თვითღირებულება

საპროგნოზო მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ მზის სადგურების მშენებლობის ეფექტიანობა საქართველოში. საქართველოში მზის პოტენციალის გათვალისწინებით რეგიონებად, მოხდა მათი საპროგნოზო მშენებლობის პერიოდის განსაზღვრა, არჩეულ იქნა მშენებლობის პერიოდისათვის საპროგნოზოდ გათვლილი 1 კვტ სადგურის მშენებლობის ღირებულება. აღნიშნული ინფორმაცია შეტანილია ცხრილ 4.5-ში.

ცხრილი 4.5. მზის სადგურების საპროგნოზო პერიოდი და საპროგნოზო სამშენებლო ღირებულება

პროექტის დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გენერაცია (გვტ.სთ)	საპროგნოზოდ მშენებლობის პერიოდი (წელი)	1 კვტ-ის ელექტროენერჯის მშენებლობის ღირებულება	სადგურის მშენებლობის ჯამური ღირებულება (აშშ მლნ დოლარი)
უდაბნო	5	8	2025	637.4	3.187
ალგეთი	50	67	2025	637.4	31.87
ახალციხე-1	50	65	2026	533.5	26.675
ახალციხე-2	50	65	2026	533.5	26.675
გარდაბანი-1	50	68	2025	637.4	31.87
გარდაბანი-2	50	68	2025	637.4	31.87
გლდანი	50	67	2026	533.5	26.675
კასპი	50	66	2026	533.5	26.675
მარნეული	50	67	2027	488	24.4
სააკაძე	50	67	2027	488	24.4
ქსანი	50	66	2025	637.4	31.87
გარეჯი	15	20	2026	533.5	8.0025
ჯამი	520	694			294.1695

მსოფლიო გამცდილების მაგალითზე შერჩეულ იქნა მზის სადგურის სიმძლავრის შესაბამისი ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემები და გამოყებულია მისი საპროგნოზო ღირებულება. აღნიშნული ინფორმაცია შეტანილია ცხრილ 4.6-ში.

ცხრილი 4.6. საქართველოს მზის პოტენციალის გათვალისწინებით საჭირო დამაგროვებელი სადგურის სიმძლავრე, მისი ღირებულება და საერთო ჯამური ღირებულება მზის სადგურის მშენებლობასთან ერთად

პროექტის დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გენერაცია (გვტ.სთ)	საპროგნოზოდ მშენებლობის პერიოდი (წელი)	1 კვტ-ის ღირებულება	სადგურის მშენებლობის ჯამური ღირებულება (აშშ მლნ დოლარი)
უდაბნო	5	8	2025	637.4	3.187
ალგეთი	50	67	2025	637.4	31.87
ახალციხე-1	50	65	2026	533.5	26.675
ახალციხე-2	50	65	2026	533.5	26.675
გარდაბანი-1	50	68	2025	637.4	31.87
გარდაბანი-2	50	68	2025	637.4	31.87

გლდანი	50	67	2026	533.5	26.675
კასპი	50	66	2026	533.5	26.675
მარნეული	50	67	2027	488	24.4
სააკაძე	50	67	2027	488	24.4
ქსანი	50	66	2025	637.4	31.87
გარეჯი	15	20	2026	533.5	8.0025
ჯამი	520	694			294.1695

პროექტის დასახელება	მზის სადგურის დადმული სიმძლავრის გათვალისწინებით ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების საჭირო სიმძლავრე	ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების საპროგნოზო ღირებულება მითითებულ წელს დოლარი (1 კვტ)	ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის საპროგნოზო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	მზისა ელექტროსადგურისა და ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემების დანერგვის ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
უდაბნო	1.5	324	0.486	3.673
ალგეთი	18	324	5.832	37.702
ახალციხე-1	18	312	5.616	32.291
ახალციხე-2	18	312	5.616	32.291
გარდაბანი-1	18	324	5.832	37.702
გარდაბანი-2	18	324	5.832	37.702
გლდანი	18	312	5.616	32.291
კასპი	18	312	5.616	32.291
მარნეული	18	300	5.4	29.8
სააკაძე	18	300	5.4	29.8
ქსანი	18	324	5.832	37.702
გარეჯი	5	312	1.56	9.5625
ჯამი			58.638	352.8075

საქართველოში მზის ელექტროსადგურებში ელექტროენერჯის დამაგროვებელი სისტემის გამოყენების ეფექტიანობა შეფასებულია ფორმულა 4.1-ისა და ფორმულა 2.4-ის მიხედვით. ამ მიზნით შესწავლილია მითითებული ელექტროსადგურის ექსპლუატაციის რეჟიმები, დადგენილია ელექტროენერჯის წლიური გამომუშავების მოცულობა, შეფასებულია მის ოპერატიული რეზერვში გამოყენების პერსპექტივა, სეზონურობის თვისებურება, აღნიშნული მონაცემები შეტანილია ცხრილ 4.7-ში. 1 კვტ.სთ ტარიფი დადგენილია საქართველოს მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების მიხედვით.

ცხრილი 4.7. მზის ელექტროსადგურში ელექტროენერჯის დამაგროვებლების დანერგვის ეფექტიანობის შეფასებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია

მაჩვენებლები	საანგარიშო პერიოდი					
	პროექტი ალგეთი					
	2025	2026	2027	2028	2029	2030
ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება დამაგროვებლის ჩათვლით(მილიონი ლარი)	37.7					
ძირითადი ფონდის ნარჩენი ღირებულება დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი)	34.68	31.91	29.36	27.01	24.84	22.86
სამორტიზაციო ანარიცხები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	3.02	2.78	2.56	2.35	2.16	1.99
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	10%	10%	10%	10%	10%	10%
ინვესტიციების შემოსავლიანობა დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	7.8	6.6	5.5	4.6	3.9	3.3
საოპერაციო ხარჯები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
გადასახადები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)		0.46	0.42	0.39	0.36	0.33
მზის ელექტროსადგურის დადგენილი ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ)	18.005	18.005	18.005	18.005	18.005	18.005
სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი. კვტ/სთ)	20.005	20.005	20.005	20.005	20.005	20.005
მზის სადგურის მიერ საშუალო წლიური	67	67	67	67	67	67
დამაგროვებლის დანარგვის შედეგად მზის სადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ყოველწლიური ზრდა(მილიონი კვტ.სთ)	10.05	10.05	10.05	10.05	10.05	10.05
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
ქვესადგურის მშენებლობის ღირებულება მლნ ლარი	3					
შემოსავლები არაეკონომიური	0	0	0	0	0	0

საექმანობიდან (მილიონი ლარი)						
სესხის გადასახადი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
საკუთარი კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
ნასესხები კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
დივიდენდები (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0

მაჩვენებლები	საანგარიშო პერიოდი				
	პროექტი ახალციხე-1				
	2026	2027	2028	2029	2030
ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება დამაგროვებლის ჩათვლით(მილიონი ლარი)	32.3				
ძირითადი ფონდის ნარჩენი ღირებულება დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი)	29.72	27.34	25.15	23.14	21.29
სამორტიზაციო ანარჩებები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	2.58	2.38	2.19	2.01	1.85
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	10%	10%	10%	10%	10%
ინვესტიციების შემოსავლიანობა დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	6.7	5.6	4.7	4.0	3.3
საოპერაციო ხარჯები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
გადასახადები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)		0.39	0.36	0.33	0.31
მზის ელექტროსადგურის დადგენილი ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ)	18.005	18.005	18.005	18.005	18.005
სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი. კვტ/სთ)	20.005	20.005	20.005	20.005	20.005
მზის სადგურის მიერ საშუალო წლიური	67	67	67	67	67
დამაგროვებლის დანარგვის შედეგად მზის სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ყოველწლიური	10.05	10.05	10.05	10.05	10.05

ზრდა(მილიონი კვტ.სთ)					
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
ქვესადგურის მშენებლობის ღირებულება მლნ ლარი	3				
შემოსავლები არაეკონომიური საქმიანობიდან (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0
სესხის გადასახადი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0
საკუთარი კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0
ნასესხები კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0
დივიდენდები (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0

მაჩვენებლები	საანგარიშო პერიოდი					
	პროექტი გარდაბანი-1					
	2025	2026	2027	2028	2029	2030
ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება დამაგროვებლის ჩათვლით(მილიონი ლარი)	37.7					
ძირითადი ფონდის ნარჩენი ღირებულება დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი)	34.69	31.91	29.36	27.01	24.84	22.86
სამორტიზაციო ანარჩებები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	3.01	2.78	2.55	2.35	2.16	1.98
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	10%	10%	10%	10%	10%	10%
ინვესტიციების შემოსავლიანობა დამაგროვებლების ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	7.8	6.6	5.5	4.6	3.9	3.3
საოპერაციო ხარჯები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
გადასახადები დამაგროვებლის ჩათვლით (მილიონი ლარი წელიწადში)		0.45	0.42	0.38	0.36	0.32
მზის ელექტროსადგურის დადგენილი ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ)	18.005	18.005	18.005	18.005	18.005	18.005

სარეზერვო ელექტროენერჯის ტარიფი (თეთრი. კვტ/სთ)	20.005	20.005	20.005	20.005	20.005	20.005
მზის სადგურის მიერ საშუალო წლიური	67	67	67	67	67	67
დამაგროვებლის დანარგვის შედეგად მზის სადგურის მიერ გამოქმუშავებული ელექტროენერჯის ყოველწლიური ზრდა(მილიონი კვტ.სთ)	10.05	10.05	10.05	10.05	10.05	10.05
მზის სადგურის ინვესტიციის შემოსავლიანობის %-ულობა	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
ქვესადგურის მშენებლობის ღირებულება მლნ ლარი	3					
შემოსავლები არაეკონომიური საქმიანობიდან (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
სესხის გადასახადი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
საკუთარი კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
ნასესხები კაპიტალი (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0
დივიდენდები (მილიონი ლარი)	0	0	0	0	0	0

მაჩვენებლები	საანგარიშო პერიოდი					
	პროექტი სააკაძე					
	2027	2028	2029	2030	2031	2032
ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება დამაგროვებლის ჩათვლით(მილიონი ლარი)	29.8					
